სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 31

ქ. თბილისი **2010 წლის 9 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. ინეზა გაგნიძე; 2. ნუგზარ თოდუა; 3. ელგუჯა მექვაბიშვილი; 4. გიორგი მესხორაძე; 5. გიორგი ჩაბაკაური; 6. ვლადიმერ მარგველაშვილი; 7. ნინო ცინცაძე; 8. შორენა თურქიაშვილი; 9. მალხაზ მაცაბერიძე; 10. მანანა შამილიშვილი; 11. მარი წერეთელი; 12. კონსტანტინე ნახუცრიშვილი; 13. ლევან ჩოხელი; 14. მიხეილ ბახტაძე; 15. ნანი გელოვანი; 16. ვახტანგ ლიჩელი; 17. კახაბერ ლორია; 18. თამარ პაიჭაძე; 19. ბექა ახლოური; 20. ვახტანგ ზივზივაძე; 21. უჩა ჯღამაძე; 22. არნოლდ გეგეჭკორი; 23. მერაბ ელიაშვილი; 24. ბეჟან თუთბერიძე; 25. რონალდ ომანაძე; 26. მანანა ხაჩიძე; 27. დავით კერესელიძე; 28. ვასილ გუბაძე; 29. გივი ჭლიკაძე; 30. გიორგი კახიანი; 31. გიორგი კვერენჩხილაძე; 32. ბექა ბენდელიანი; 33. თამარ პაპაშვილი; 34. ივერი ჭალიძე. (დანართი- 1)

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურების დაწყების თაობაზე.

2. სსიპ – ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურების დაწყების თაობაზე.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში წილობრივად არსებული ქ. ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. №87-ში მდებარე უძრავი ქონების სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემის თაობაზე

4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 და მე-10 მაღლივი სასწავლო კორპუსებში, თითოეულში 5 კვ. მეტრის ოდენობის ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

5. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიგოლ წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კორპუსის სახურავზე 10-10 მ2 ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

6. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №129/2010 დადგენილების დამტკიცება.

7. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების განხილვა.

8. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დამტკიცება.

9. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. სენატის სპიკერის– კახაბერ ლორიას მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩომახიძის 2010 წლის 5 ნოემბრის №230/01/02-14-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №278 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის– ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უფლებამონაცვლედ.

წარმოდგენილი წერილის მიხედვით „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის №302 დადგენილებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითხოვს თანხმობას, რათა დაიწყოს სსიპ - ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურები.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა ბეჟან თუთბერიძემ და მალხაზ მაცაბერიძემ, ასევე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ.

მსჯელობის დასრულების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი –0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: დაიწყოს სსიპ - ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურები.

2. სენატის სპიკერის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩომახიძის 2010 წლის 8 ნოემბრის №232/01/02-14-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 03 აგვისტოს №220 დადგენილების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის– ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის უფლებამონაცვლედ.

წარმოდგენილი წერილის მიხედვით, „სახელმწიფო ქონების შესახებ", საქართველოს კანონისა და „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითხოვს თანხმობას, რათა დაიწყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურები.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და მალხაზ მაცაბერიძემ, ასევე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი –0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: დაიწყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის პროცედურები.

3. სენატის სპიკერის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩომახიძის 2010 წლის 26 ნოემბრის №191/01/02-14-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 07 ოქტომბრის №24-09-5/18375 კორესპონდენცია ქ. ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. №87-ში მდებარე უძრავი ქონების სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით და მოთხოვნილია დავაფიქსიროთ უნივერსიტეტის პოზიცია.

როგორც, დოკუმენტაციით ირკვევა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1972 წლის 24 ოქტომბრის №302 ბრძანებით უნივერსიტეტს გადაეცა 8.00 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ხოლო კომისიურად, 1973 წლის 01 იანვრის მიღება - ჩაბარების აქტით 6.00 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. 2010 წლის 9 მარტს ობიექტის ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის მფლობელობაში წილობრივად არსებული ორსართულიანი შენობა მთლიანად განადგურებულია. რაც შეეხება დამხმარე სათავსოებს, სახეზეა და ექვემდებარება აღდგენას.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 12 აპრილს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმართა აღნიშნული უძრავი ქონების ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადმოცემასთან დაკავშირებით. სწორედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზემოხსენებული წერილიდან და ამავდროულად რაჭა - ლეჩხუმი - იმერეთის სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 05 აგვისტოს №1401 წერილით დაფიქსირებული პოზიციით დგინდება, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ გამოხატულია თანხმობა ხსენებული უძრავი ქონების, ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისათვის გადმოცემაზე, თანამედროვე სტილის შენობა-ნაგებობების აშენებისა და სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მოწყობის წინაპირობით.

წარმოდგენილი წერილის მიხედვით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითხოვს, რომ აღნიშნული უძრავი ქონების უნივერსიტეტისათვის გადმოცემის მიზანშეწონილობის საკითხი გახდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს განხილვის საგანი, ვინაიდან შესაძლებელია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაეკისროს

რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 05 აგვისტოს №1401 წერილში წარმოდგენილი პირობების შესაბამისად, ხსენებულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ვალდებულება, რაც ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

საკითხის შესახებ გაიმართა დისკუსია რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა გიორგი კვერენჩხილაძემ, ინეზა გაგნიძემ, ვახტანგ ლიჩელმა, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ჩომახიძემ და იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ.

დისკუსიის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: წარმოდგენილი წინაპირობის გათვალისწინებით, ქ. ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. №87-ში მდებარე უძრავი ქონების სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემა არ არის მიზანშეწონილი.

4. სპიკერის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩომახიძის 2010 წლის 8 ნოემბრის №231/01/02-14-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითხოვს, რათა წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 და მე-10 მაღლივი სასწავლო კორპუსებში, თითოეულში 5 კვ. მეტრის ოდენობის ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი, შემდეგი პირობის გათვალისწინებით: საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მე-10 მაღლივ სასწავლო კორპუსში მე-4 სართულზე მდებარე №604 აუდიტორიის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არნოლდ გეგჭკორმა, დავით ჩომახიძემ და გიორგი კვერენჩხილაძემ.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0

წინააღმდეგი – 34

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართის გაცემის თაობაზე შემოსული განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

5. სპიკერის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩომახიძის 2010 წლის 27 ოქტომბრის №192/01/02-14-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 14 სექტემბერს შემოვიდა შპს „მაგთიკომი"–ს გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას №22737/02 წერილი.

როგორც წერილიდან ირკვევა, ქსელის გაფართოების მიზნით და საუკეთესო ხარისხის კავშირის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქვთ აპარატურის განთავსება შემდეგ მისამართებზე: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიგოლ წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (უნივერსიტეტის ქ. №11), და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ზანდუკელის ქ. №16).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მაგთიკომი"–ს აპარატურის განსათავსებლად ესაჭიროება 10-10 მ2 ფართი და ითხოვს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას 5 წლის ვადით.

შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითხოვს, რათა წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელოს ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები: გიორგი კვერენჩხილაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი. სენატის სპიკერმა კახაბერ ლორიამ მსჯელობისას თსუ-ს ადმინისტრაცის საყურადღებოდ აღნიშნა, რომ სენატიდან თანხმობის შემთხვევაში ადმინისტრაციამ მკაცრად უნდა გააკონტროლოს უსაფრთხოების ზომები, რათა მინიმალური ზიანიც კი არ

მიადგეს იმ ადამიანებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ შენობებში სწავლობენ ან საქმიანობენ.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31

წინააღმდეგი –3

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართის (გრიგოლ წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (უნივერსიტეტის ქ. №11) – 10 $მ^2$), და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ზანდუკელის ქ. №16) - 10 $მ^2$) იჯარით ფორმით გაცემის თაობაზე.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა სენატის წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №129/2010 დადგენილება. ხსენებული დადგენილების მიხედვით, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91-ე დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება მე–5 და მე-6 პუნქტებში, რომლითაც განისაზღვრა, რომ სრულ ან ასოცირებულ პროფესორად 6 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება. ასისტენტ–პროფესორად კი შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი 4 წლის ვადით.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სენატის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი –0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №129/2010 დადგენილება. (დანართი 2)

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება, რომელიც თავის დროზე შესაბამისი დასკვნისათვის გადაეგზავნა იურიდიულ დეპარტამენტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპიკერმა სიტყვა გადასცა იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, ბატონ არჩილ კუკულავას, რომელმაც სენატს მოახსენა დებულებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და ელგუჯა მექვაბიშვილმა. გამოითქვა მოსაზრება, რომ არ იქნეს დამტკიცებული ზემოხსენებული ფაკულტეტის დებულება წარმოდგენილი სახით, ეთხოვოს რა აღნიშნულ ფაკულტეტს დასამტკიცებლად წარმოადგინოს დებულების ახალი რედაქცია, რომელშიც გათვალიწინებული იქნება თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნები.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა ეკონომიკის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0

წინააღმდეგი – 34

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: უარი ეთქვას სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს წარმოდგენილი დებულების დამტკიცებაზე და ეთხოვოს ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით დასამტკიცებლად წარმოადგინოს დებულების ახალი რედაქცია.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს მოახსენა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნა ნინო დურგლიშვილის კანდიდატურა.

სიტყვა გადაეცა ქალბატონ ნინო დურგლიშვილს, რომელმაც წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თავის სამოქმედო გეგმა.

ქალბატონ ნინო დურგლიშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითმა საბჭოს წევრმა: გიორგი კვერენჩხილაძემ.

გაიმართა კენჭისყრა ნინო დურგლიშვილის კანდიდატურის დასამტკიცებლად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი –0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნინო დურგლიშვილი.

9. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს მოახსენა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია დავით ჩომახიძის კანდიდატურა.

სპიკერმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დავით ჩომახიძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და დაახასიათა წარმოდგენილი კანდიდატი. შემდგომ სიტყვა გადაეცა თავად ბ-ნ ჩომახიძეს, რომელმაც წარმოადგინა სამოქმედო გეგმა და საგანგებო ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს აუცილებელ რეაგირებას.

ბატონ დავით ჩომახიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: არნოლდ გეგეჭკორმა, გიორგი კვერენჩხილაძემ, ვახტანგ ლიჩელმა და ბეჟან თუთბერიძემ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და თსუ-ს წესდებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფარული კენჭისყრით.

ფარულ კენჭისყრას ორგანიზება გაუწია თსუ-ს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

კენჭისყრის წინ რეგისტრაცია გაირა და საარჩევნო ბიულეტენი მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 34 წევრმა.

თსუ-ს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოქმით დაფიქსირდა შემდეგი:

დავით ჩომახიძემ მიიღო 34 ხმა.

მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 45

არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 34

გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა: 11

გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა: 0

ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დავით ჩომახიძე. (დანართი 3)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

სხდომის მდივანი: ბ. ბენდელიანი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 9 ნოემბერი, 2010წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

3. გუბაძე ვასილი
4. ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

დანართი 2.

8 ნოემბერი 2010
დადგენილება 129/2010

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91–ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 34–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–9 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91–ე დადგენილებაში და დადგენილების მე–5 და მე–6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“5. თსუ სრულ ან ასოცირებულ პროფესორად 6 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება.“
6. თსუ ასისტენტ–პროფესორად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი“.

2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
4. დადგენილების გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის, ასევე, ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კომისიის თავმჯდომარე - **მიხეილ დევდარიანი**

თავმჯდომარის მოადგილე - **დავით გოცირიძე**

მდივანი - **ანგი ხუციშვილი**

წევრები:

გიორგი ხომეზური

მაკა კევლიშვილი

ნანა მაჭარაშვილი

ბეჭედი

2010 წლის 9 ნოემბერი,
18 სთ 55 წთ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) არჩევნები

საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

1	**ერთიან სიაში** ამომრჩეველთა რაოდენობა	39
2	**არჩევნებში მონაწილე** ამომრჩეველთა რაოდენობა	34
3	**მიღებული** საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	45
4	**გამოუყენებელი** საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	11
5	**გაფუჭებული** საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	00

დავით ჩომახიძისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა

1	დიახ	34
2	არა	XX
6	**ბათილად** მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	XX